საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 451 2019 წლის 8 ნოემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის №451 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის №451 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულების“:

ა) მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების ფუნქციონირების ეფექტიანი უზრუნველყოფა და მათი შეუფერხებელი წვდომისათვის აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელება;“;

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) სამთავრობო ზედამხედველობის სამსახურს საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებით;“;

გ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საინფორმაციო-ტექნოლოგიების სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების ეფექტიან ფუნქციონირებას და მათი შეუფერხებელი წვდომისათვის აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელებას;

ბ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მოსამსახურეთა ინტერნეტრესურსებზე დაშვების უფლების განსაზღვრასა და ინტერნეტთან შეუფერხებელ კავშირს;

გ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სისტემაში კომპიუტერული ქსელების გამართულად მუშაობას, კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მდგომარეობაში ყოფნასა და კიბერუსაფრთხოებას;

დ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სისტემის თანამედროვე კომპიუტერული პროგრამებით ფუნქციონირებას;

ე) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მონაცემთა ელექტრონული ბაზების ოპერირებას, მათზე ტექნიკურ დაშვებასა და კონტროლს;

ვ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სისტემაში პროგრამული საშუალებების პერიოდულ შემოწმებას, მათი გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ცალკეულ დავალებათა შესრულებას.“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 5 დეკემბრის №453 ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია 2019 წლის 1 ნოემბრიდან.

გიორგი გახარია